
	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 1/ 13	

პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

სავაჭრო დასახელება: სილტაკი ® ეკ / SILTAC ® EC

1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდირებული შეზღუდვები

1.2.1. მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება

პროდუქტი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ფიზიკური მოქმედების მექანიზმით.

1.2.2. რეკომენდირებული შეზღუდვები

არცერთი

1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელის მომწოდებლის მონაცემები

„აი-სი-ბი ფარმა ტომაშ შვეტოსლავსკი, პაველ შვეტოსლავსკი“

ICB Pharma Tomasz Świątosławski, Paweł Świątosławski Spółka Jawna

Address: Moździerzowców 6a, 43-602 Jaworzno, Poland (პოლონეთი)

Phone: +48 32 745 47 00

e-mail: office@icbpharma.com

უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელზე პასუხისმგებელი პირი: e-mail: grzegorz.zmijowski@icbpharma.com

1.4. საგანგებო სამსახურის ტელეფონის ნომერი

112 - გადაუდებელი დახმარების ნომერი

+48 32 745 47 00 (სამუშაო საათებში: 8.00 საათიდან 16 საათამდე) - მწარმოებლის ნომერი

პარაგრაფი 2. საფრთხეთა იდენტიფიკაცია

2.1. ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად:

პროდუქტი კლასიფიცირდება როგორც საშიში:

მწვავე ტოქ. 4 H332 მავნე ჩასუნთქვისას.

თვალის გაღ. 2 H319 იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.

წყლისათვის ტოქს. 2 H411 ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეები: მავნე ჩასუნთქვისას, თვალში მოხვედრისას იწვევს გაღიზიანებას.

ეკოლოგიური საფრთხეები: ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის, შეიძლება გამოიწვიოს გრძელვადიანი უარყოფითი

გავლენა წყლის გარემოზე.

ფიზიკური საფრთხეები: არცერთი.

2.2. ეტიკეტის ელემენტები:

(EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად

პიქტოგრამები:





GHS07



GHS09

სასიგნალო სიტყვა: გაფრთხილება

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 2/ 13	

საშიშროების შესახებ განცხადებები

- H319 იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
- H332 მავნეა ჩასუნთქვისას.
- H411 ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

გამაფრთხილებელი განცხადებები

- P102 შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.
- P261 არ შეისუნთქოთ მტვრი/კვამლი/აირი/ნისლი/ორთქლი/შხეფები.
- P273 პრეპარატი არ უნდა მოხვდეს გარემოში.
- P280 გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები და თვალბრუნველი საშუალებები.
- P305 + P351 + P338 თვალში მოხვედრის შემთხვევაში: რამდენიმე წუთის განმავლობაში გულდასმით გამოირეცხეთ წყლით. მოიხსენიეთ კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია. გააგრძელეთ გამორეცხვა.
- P304 + P340 ჩასუნთქვისას: დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე და მოათავსეთ სუნთქვისთვის კომფორტულ პოზიციაში.
- P501 შიგთავსი/ტარა განათავსეთ სახიფათო ნარჩენების მიმღებ სანქციონებულ პუნქტებში/ნაგავსაყრელზე.

საშიში კომპონენტები, რომლებიც უნდა განთავსდეს ეტიკეტზე:

პოლიალკილენოქსიდით მოდიფიცირებული ჰეპტამეთილტრისილოქსანი

2.3. სხვა რისკები

პროდუქტი არ აკმაყოფილებს PBT (მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური) ან vPvB (ძალიან მდგრადი, ძალიან ბიოაკუმულირებადი) კრიტერიუმებს REACH რეგულაციის მე-XIII დანართის შესაბამისად.

პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

3.2. ნარევი

პროდუქტი წარმოადგენს კოპოლიმერის შემცველ ნარევს. შეიცავს სილიკონის პოლიმერულ ნაერთებს, სილანებს, სხვა პოლიმერებს.

საშიში ინგრედიენტების შემცველობა (ნარევის შემადგენელი ინგრედიენტები არის საერთო ან სპეციფიკური კონცენტრაციის ზღვრული მაჩვენებლების ქვემოთ, არ აკმაყოფილებს PBT/ vPvB კრიტერიუმებს, არ არის შეტანილი SVHC კანდიდატა სიაში და სამუშაო გარემოში პროფესიული ზღვრული სიდიდეები არ არის გამჟღავნებული):

დასახელება	იდენტიფიკატორები	კონცენტრაცია	CLP -(მარკირებისა და შეფუთვის) კლასიფიკაცია
პოლიალკილენოქსიდით მოდიფიცირებული ჰეპტამეთილტრისილოქსანი	CAS: 67674-67-3	70 – 90 % w/w	მწვავე ტოქ. 4 (ინჰალ.), H332 თვალის გაღ. 2, H319 წყლისათვის ქრონიკული 2, H411
	WE: 614-100-2		
	ინდექსის ნომერი: არ არის ხელმისაწვდომი		
	REACH რეგისტრაციის ნომერი: არ გამოიყენება (პოლიმერი)		

H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

ზოგადი რეკომენდაციები:

რაიმე ტიპის გვერდითი ეფექტების წარმოქმნისას უნდა შეწყვიტოთ პრეპარატის გამოყენება, ხოლო ეჭვის შემთხვევაში მიმართოთ ექიმს და აჩვენოთ ეტიკეტი ან უსაფრთხოების მონაცემების ფურცელი. დაზარალებულისათვის უნდა უზრუნველყოთ სუფთა ჰაერთან წვდომა, ამყოფოთ სითბოში და მოსვენებულ მდგომარეობაში და გაუწიოთ სამედიცინო დახმარება. თუ არ სუნთქვას, შეიძლება საჭირო გახდეს (CPR) გულ-ფილტვის რეანიმაცია ჩატარება. გონების დაკარგვის შემთხვევაში დაზარალებული უნდა მოათავსოთ უსაფრთხო პოზიში. უგონო მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს არ გადააყლაპოთ არაფერი.

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 3/ 13	

პირველადი (სამედიცინო) დახმარების გამწევი პერსონალის დაცვა:

დაიბხსოვრეთ - პირადი უსაფრთხოება უპირველესია. სათანადო მოზადებისა და შესაძლო რისკების შესახებ ცოდნის გარეშე ნუ მიიღებთ რაიმე ზომებს, რომლებსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას მაშველს.

კანზე მოხვედრისას (კანის დაზინძურება):

დაუყოვნებლად გაიხადეთ ყველა დაზინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. პროდუქტის კანთან უშუალო კონტაქტის შემთხვევაში, დაზინძურებული ადგილი ჩამოიბანეთ წყლითა და კანს pH-ის მსგავსი მაჩვენებლის მქონე საპნით. დაიბანეთ სრულყოფილად.

თვალში მოხვედრისას (თვალის დაზინძურება):

დაზინძურებული თვალები გახელილ მდგომარეობაში გამოირეცხეთ სუფთა წყლით ან თვალის ამოსარეცხი შესაფარისი საშუალებებით 15 წუთის განმავლობაში. არ მოისრისოთ თვალები. მოერიდეთ წყლის ძლიერ ნაკადს - რქოვანას დაზინძურების რისკი. არასასურველი სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში მიმართეთ ოფთალმოლოგს.

ჩასუნთქვა (ინჰალაცია):

მოწამვლის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, დაშვებულები გაიყვანეთ ზემოქმედების ზონიდან და უზრუნველყავით სუფთა ჰაერით. თუ სიმპტომები ნარჩუნდება ან მწვავედება კონსულტაციისათვის მიმართეთ ექიმს.

გადაყლაპვა:

პირირში და ყელში გამოივლეთ წყალი. არ გამოიწვიოთ ღებინება. უგონო მდგომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი. თუ თავს შეუძლოთ გრძობთ, მიიღეთ სამედიცინო დახმარება.

4.2 ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

მწვავე სიმპტომები - თვალები: სიწითლე, ცრემლდენა.

შეყოვნებული სიმპტომები - მონაცემები არ არის

ზემოქმედების ეფექტები - მონაცემები არ არის

4.3 ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის აუცილებლობის ჩვენება

მითითება ექიმს: სპეციფიური ანტიდოტი არ არის ცნობილი. გადაწყვეტილებას მკურნალობის გაგრძელების შესახებ იღებს ექიმი, დაზარალებულის მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასების შემდეგ. მკურნალობა სიმპტომატურია.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები:



ზოგადად, ხანძრის ჩაქრობის ყველა საშუალება არის ხელსაყრელი. მცირე ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენეთ ქაფი, მშრალი ყინული (CO₂) ან მშრალი ცეცხლმაქრი ფხვნილი. დიდი ხანძრის შემთხვევაში გამოიყენეთ ქაფი ან გაფრქვეული წყლის ნაკადი.

ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები

კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებები არ არის. გაითვალისწინეთ გარემომცველი მასალის მიმართ ხანძრის ჩამქრობი საშუალებების გამოყენების შესაბამისობა. ძლიერი წყლის ჰავლი არ არის რეკომენდებული - ხანძრის გაგრძელებისა და გარემოს დაზინძურების რისკი.

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

პრეპარატის წვის დროს შეიძლება გამოიყოს შემდეგი ნაერთები - ნახშირბადის ოქსიდები, სილიციუმის ოქსიდები, ფორმალდეჰიდი, სხვა საშიში აირები. მოერიდეთ წვის პროდუქტების ჩასუნთქვას, ისინი შეიძლება იყოს ჯანმრთელობისთვის საშიში.

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 4 / 13	

5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

პრეპარატის წვის დროს შეიძლება გამოიყოს შემდეგი ნაერთები - ნახშირბადის ოქსიდები, სილიციუმის ოქსიდები, ფორმალდეჰიდი, სხვა საშიში აირები. მოერიდეთ წვის პროდუქტების ჩასუნთქვას, ისინი შეიძლება იყოს ჯანმრთელობისათვის საშიში.

5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

დახურულ და ცუდად განიავებად შენობაში ხანძრის ჩაქრობისა და ხანძრის შემდეგ დასუფთავების დროს, სავალდებულოა ავტონომიური სასუნთქი აპარატისა და შესაბამისი დამცავი სპეცტანსაცმლის გამოყენება.

ზოგადი: სახიფათო ზონიდან გაიყვანეთ ყველა გარეშე პირი, რომლებიც არ მონაწილეობენ ხანძრის ჩაქრობაში, საჭიროების შემთხვევაში მოითხოვეთ ევაკუაცია. მოიშორეთ აალების ყველა წყარო. ხანძრის შემთხვევაში გააგრძელეთ ჭურჭელი და სასაწყობე რეზერვუარები. არ დაუშვათ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებულ საშუალებების წყალსადინარებში შეღწევა.

დამატებითი მითითებები: ავზები და შეფუთვები, რომლებიც არ არის მოცული ცეცხლით, დაუცველია ცეცხლის ან მაღალ ტემპერატურის ზემოქმედებისგან, გააგრძელეთ წყალით უსაფრთხო მანძილიდან (აფეთქების რისკი), თუ ეს შესაძლებელია, გაიტანეთ ისინი საფრთხის ზონიდან. ხანძრის ნარჩენების და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალის გაუვნებლობა მოახდინეთ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. არ დაუშვათ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული საშუალებებისა და წყლის საკანალიზაციო სისტემებში მოხვედრა.

პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები:

არასაგანგებო პერსონალისათვის:

შეზღუდეთ დაბინძურების ზონაში გარეშე პირების დაშვება. დიდი რაოდენობით დაღვრის შემთხვევაში მოახდინეთ სახიფათო ზონის იზოლირება. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. თავიდან აიცილეთ თვალებისა და კანის დაბინძურება. მოერიდეთ დაღვრილ პროდუქტთან პირდაპირ შეხებას. უზრუნველყავით სათანადო განიავება.

საგანგებო სიტუაციების მამველებისათვის:

მიჰყევით ინსტრუქციას, გამოიყენეთ შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

თუ პროდუქტი დიდი რაოდენობით გამოთავისუფლდა, ბუნებაში გავრცელების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. არ დაუშვათ საკანალიზაციო სისტემებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგისა და ზედაპირულ წყლებში მოხვედრა. პროდუქტის მნიშვნელოვანი რაოდენობით წყალში მოხვედრის შემთხვევაში, უნდა აცნობოთ შესაბამის სამსახურებს.

6.4 მითითება სხვა პარაგრაფებზე



ინდივიდუალური დაცვის საშუალებები – მე-8 პარაგრაფში.

განკარგვა/უტილიზაცია – მე-13 პარაგრაფში.

პარაგრაფი 7. შენახვისა და გამოყენების პირობები

7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები გამოყენების დროს

გამოიყენეთ მხოლოდ დანიშნულებისამებრ. პროდუქტის გამოყენებამდე წაიკითხეთ ეტიკეტი. იმუშავეთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზოგადი წესების შესაბამისად. დაიბანეთ ხელები შესვენებამდე და სამუშაოს დასრულების შემდეგ. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. თავიდან აიცილეთ თვალებისა და კანის დაბინძურება. უზრუნველყავით სათანადო განიავება. პროდუქტის გამოყენებისას შეინარჩუნეთ სისუფთავე და წესრიგი.

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 5 / 13	

სპეციალური ზომები ხანძრისა და აფეთქების წინააღმდეგ: არ არის კონკრეტული მოთხოვნები.

სამრეწველო ჰიგიენა:

- უზრუნველყავით კარგი განიავება (საერთო და ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია)
- უზრუნველყავით თვალისა და კანის დასაბანი ადგილი.
- ჭამის წინ, თამბაქოს მოწევისა და სამუშაოს დასრულების შემდეგ დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით.
- ქიმიურ ნივთიერებებთან მუშაობის დროს დაიცავით უსაფრთხოების ზოგადი წესები.

7.2 უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

შეინახეთ მხოლოდ ქარხნულ, ჰერმეტიკულად თავდახურულ ტარაში. შენახვის დროს მთავრად წყალსა და ნესტს. რეკომენდებულია მახლობლად შთამნთქმელი მასალის შენახვა (ნაწილი 6.3). ეტიკეტი არ მოაძროთ შეფუთვას. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე, მთავრად კვების პროდუქტებს, სასმელსა და ცხოველების საკვებს. მთავრად სურნელოვანი პროდუქტებთან სიახლოვეს. შეინახვისა და ტრანსპორტირების ტემპერატურაა 0–35°C.

7.3 კონკრეტული საბოლოო გამოყენება

პროდუქტის გამოყენების შესახებ ინფორმაცია მითითებულია მხოლოდ 1.2 ქვეპარაგრაფში.

პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

8.1 კონტროლის პარამეტრები

სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის (ზემოქმედების) ზღვრები:

ამ პრეპარატის საშიში კომპონენტებისათვის ზემოქმედების სტანდარტი არ არის დაწესებული. ნარევის კომპონენტებისთვის ხელმისაწვდომი DNELs (ზემოქმედების უსაფრთხოების მაჩვენებლები):

ექსპოზიციის გზა	მუშები		ძირითადი მოსახლეობა	
	სისტემური ეფექტები	ლოკალური ეფექტები	სისტემური ეფექტები	ლოკალური ეფექტები
	ხანგრძლივი	მწვავე	ხანგრძლივი	მწვავე
ინჰალაცია	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის
დერმალური	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის
პერორალური	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის	მონაცემები არ არის
თვალი	მონაცემები არ არის		მონაცემები არ არის	

8.2 ექსპოზიციის (ზემოქმედების) კონტროლი

ექსპოზიციის საინჟინრო კონტროლი:

პროდუქტიდან გამოყოფილი ორთქლის მოსაცილებლად აუცილებელია, როგორც ადგილობრივი გამწოვი ვენტილაცია, ასევე შენობის საერთო ვენტილაცია.

ინდივიდუალური დაცვის ზომები:



ინდივიდუალური დაცვის საშუალებების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა უნდა შეფასდეს პროდუქტისგან წარმოქმნილი საფრთხისა და მისი გამოყენების პირობების საფუძველზე. გამოიყენეთ მხოლოდ აღიარებული მწარმოებლების ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

რესპირატორული დაცვა:

არ არის საჭირო ნორმალურ პირობებში სათანადო განიავების ან ღია სივრცეში გამოყენების დროს. სავალდებულოა ორთქლის/შხეფების/აეროზოლის მაღალი კონცენტრაციებით ექსპოზიციის დროს. გაიკეთეთ ნიღაბი ან რესპირატორი A, AP ტიპის ან უფრო უკეთესი ფილტრით.

ხელების დაცვა: გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანი.

მასალა, რომლისგანაც მზადდება ხელთათმანი, უნდა იყოს წყალგაუმტარი და პრეპარატის მიმართ მედეგი. გამოიყენეთ ნეოპრენის ან ნიტრილური რეზინისგან დამზადებული დამცავი ხელთათმანი. მინიმალური სისქე 0,4 მმ. თუ მოსალოდნელია პროდუქტთან ხანგრძლივი ან განმეორებითი კონტაქტი, რეკომენდებულია დაცვის მე-5 კლასის მქონე ხელთათმნის გამოყენება (შელწევის დრო აღემატება 240 წუთს PN-EN 374 შესაბამისად).

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 6 / 13	

თუ მოსალოდნელია პროდუქტთან ხანმოკლე კონტაქტი, რეკომენდებულია დაცვის მე-3 ან მეტი კლასის მქონე ხელთათმის ტარება (შელწვევის დრო 60 წუთზე მეტია PN-EN 374-ის შესაბამისად). ხელთათმის დასამზადებლად გამოყენებული მასალების გამძლეობა უნდა შემოწმდეს გამოყენებამდე. ნივთიერების შეღწევის დროის შესახებ ინფორმაცია უნდა მიიღოთ ხელთათმის მწარმოებლისგან და ეს დრო აუცილებლად უნდა გათვალისწინოთ. ხელთათმის გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს. გამოიყენეთ ხელთათმის გახდის სწორი ტექნიკა (ხელთათმის გარე ზედაპირზე შეხების გარეშე), რათა თავიდან აიცილოთ პროდუქტის კანზე მოხვედრა. გამოყენების შემდეგ დაბინძურებული ხელთათმანების უტილიზაცია განახორციელეთ მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. რეკომენდირებულია ხელთათმის რეგულარული შეცვლა და ის დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოს, თუ შეინიშნება ცვეთის, დაზიანების (გარღვევა, პერფორაცია) ან გარეგნულ სახის (ფერი, ელასტიურობა, ფორმა) ცვლილება.

თვალის დაცვა:

პროდუქტთან მუშაობისას გაიკეთეთ დამცავი სათვალე. თვალის დასაცავად გამოიყენეთ შესაბამისი სტანდარტებზე სერტიფიცირებული აღჭურვილობა.

კანის დაცვა:

პროდუქტთან მუშაობისას გამოიყენეთ შესაფერისი დამცავი სპეცტანსაცმელი.

დამცავი აღჭურვილობის სტანდარტები:

EN 140: 2001 რესპირატორული დამცავი მოწყობილობები - ნახევარნიღები და მეთხედიანი - მოთხოვნები, ტესტირება, მარკირება.

EN 143: 2004 რესპირატორული დამცავი მოწყობილობები - ნაწილაკების ფილტრები - მოთხოვნები, ტესტირება, მარკირება.

EN 149 + A1: 2010 რესპირატორული დამცავი მოწყობილობები - გამფილტრავი ნახევარნიღები ნაწილაკებისგან დასაცავად - მოთხოვნები, ტესტირება, მარკირება.

EN 14387 + A1: 2010 რესპირატორული დამცავი მოწყობილობები - აირის ფილტრ(ებ)ი და კომბინირებული ფილტრ(ებ)ი - მოთხოვნები, ტესტირება, მარკირება.

EN 374-1: 2017-01 საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანი - ნაწილი 1: ტერმინოლოგია და ქიმიური რისკების მახასიათებლებზე მოთხოვნები.

EN 374-2: 2015-04 საშიში ქიმიური ნივთიერებებისა და მიკროორგანიზმებისგან დამცავი ხელთათმანი - ნაწილი 2: შეღწევადობაზე მდგრადობის განსაზღვრა.

EN 16523-1 + A1: 2018-11 ქიმიური ნივთიერებების შეღწევის მიმართ მასალის მედეგობის განსაზღვრა - ნაწილი 1: პოტენციურად საშიში თხევადი ქიმიური ნივთიერებების შეღწევადობა უწყვეტი კონტაქტის პირობებში.

EN 166: 2005 თვალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. მახასიათებლები

EN 14605 + A1: 2010 თხევადი ქიმიური ნივთიერებისაგან დამცავი სპეცტანსაცმელი - საექსპლუატაციო მოთხოვნები ტანსაცმლისთვის: სითხეაუმტარი (ტიპი 3) ან შეფუთვით (ტიპი 4) თვისებებით, მათ შორის საშუალებებისთვის რომლებიც უზრუნველყოფს მხოლოდ სხეულის ნაწილების დაცვას (PB [3] და PB [4] ტიპები).



EN ISO 20344: 2012 ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - ფეხსაცმლის ტესტირების მეთოდები.

გარემოზე ზემოქმედების/ექსპოზიციის კონტროლი:

არ დაუშვათ მიწისქვეშა წყლებში, კანალიზაციაში, ჩამდინარე წყლებში ან ნიადაგში დიდი რაოდენობის პროდუქტის შეღწევა.

PNEC (პროგნოზირებული უსაფრთხო კონცენტრაცია) ნარევის კომპონენტებისათვის:

გარემოს კომპონენტები	PNEC
მტკნარი წყალი	მონაცემები არ არის
არარეგულარული გამოთავისუფლება (მტკნარი წყალი)	მონაცემები არ არის
ზღვის წყალი	მონაცემები არ არის
არარეგულარული გამოთავისუფლება (ზღვის წყალი)	მონაცემები არ არის
კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა	მონაცემები არ არის
ნალექი (მტკნარი წყალი)	მონაცემები არ არის
ნალექი (ზღვის წყალი)	მონაცემები არ არის
ჰაერი	მონაცემები არ არის
ნიადაგი	მონაცემები არ არის
მტაცებლების მიართ საშიშროება	მონაცემები არ არის

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 7 / 13	

პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე:

გარეგანი სახე	:	ღია ცისფერიდან ღია ნაცრისფრამდე, სითხე
სუნი	:	სუსტი, დამახასიათებელი
სუნის ზღვრული	:	მონაცემები არ არის
pH	:	5.87 (1% წყლიანი ემულსია)
ლღობის ტემპერატურა/გაცივნვის ტემპერატურა	:	მონაცემები არ არის
საწყისი დუღილის წერტილი და დუღილის დიაპაზონი	:	მონაცემები არ არის
აალების ტემპერატურა	:	> 100 °C
აორთქლების სიჩქარე	:	მონაცემები არ არის
აალებადობა	:	არ გამოიყენება
აალებადობის ან ფეთქებადობის ქვედა/ზედა ზღვრები	:	არ გამოიყენება
ორთქლის წნევა	:	მონაცემები არ არის
ორთქლის სიმკვრივე	:	მონაცემები არ არის
სიმკვრივე (20°C)	:	1.01 – 1.02
წყალში ხსნადობა	:	ხსნადი, ემულსირდება 0,1-დან 1,0% -მდე
განაწილების კოეფიციენტი (ნ-ოქტანოლი/წყალი)	:	არ გამოიყენება
თვითაალების ტემპერატურა	:	მონაცემები არ არის
დაშლის ტემპერატურა	:	მონაცემები არ არის
სიბლანტე	:	
ფეთქებადი თვისებები	:	არცერთი, ინგრედიენტი არ არის ფეთქებადი თვისებებით
ჟანგვითი თვისებები	:	არცერთი, ინგრედიენტი არ არის ჟანგვითი თვისებებით

9.2. დამატებითი ინფორმაცია
მონაცემები არ არის

პარაგრაფი 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

10.1. რეაქტიულობა

პრეპარატი არ ავლენს რეაქციის უნარიანობას შენახვისა და გამოყენების რეკომენდებულ პირობებში.

10.2. ქიმიური მდგრადობა

პრეპარატი სტაბილურია ნორმალურ პირობებში შენახვის დროს.

10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა

მონაცემები არ არის

10.4. ასარიდებელი გარემოებები



მაღალი ტემპერატურა, მზის პირდაპირი სხივები, ტენიანობა.

10.5. შეუთავსებელი მასალები

მონაცემები არ არის

10.6. საშიში დაშლის პროდუქტები

შენახვისა და დამუშავების რეკომენდებულ პირობებში პროდუქტი არ იშლება სახიფათო დაშლის პროდუქტების წარმოქმნით.

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 8 / 13	

პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

საშიში ინგრედიენტების შემცველობის მიხედვით, პროდუქტის კლასიფიკაცია მიღებულია გაანგარიშების მეთოდით 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად.

მწვავე ტოქსიკურობა:

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა:

პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, $ATE_{ნარევი} > 2000$ მგ / კგ

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა:

პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, $ATE_{ნარევი} > 2000$ მგ / კგ

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა:

პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, $ATE_{ნარევი} = 12,2$ მგ/ლ (ორთქლი)

პროდუქტი კლასიფიცირდება როგორც ჩასუნთქვისას მანე.

კანის კოროზია/გალიზიანება:

არსებული მონაცემების მიხედვით, პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს

თვალის სერიოზული დაზიანება/გალიზიანება:

პროდუქტი კლასიფიცირდება, როგორც თვალის სერიოზული გაღიზიანების გამომწვევი.

რესპირატორული ან კანის სენსიბილიზაცია:

არსებული მონაცემების მიხედვით, პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს

სასქესო უჯრედების მუტაგენურობა:

პროდუქტი არ შეიცავს ნაივთიერებებს, რომლებსაც აქვს სასქესო უჯრედებზე მუტაგენური მოქმედების საშიშროება.

კანცეროგენულობა:

პროდუქტი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც აქვს კანცეროგენულობის საშიშროება.

რეპროდუქციული ტოქსიკურობა:

პროდუქტი არ შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც აქვს რეპროდუქციული მოქმედების საშიშროება.

STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია:

პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

STOT – განმეორებითი ექსპოზიცია

პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

ასპირაციის საფრთხე:

პროდუქტი არ აკმაყოფილებს კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

ჯანმრთელობისთვის შესაძლო საფრთხეები:

ჩასუნთქვა: მავნეა, შეიძლება იყოს სასუნთქი სისტემისთვის გამაღიზიანებელი.

კანი: გაღიზიანება, შესაძლო გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.

თვალები: გაღიზიანება.

გადაყლაპვა: შეიძლება გამოიწვიოს საჭმლის მომნელებელი სისტემის გაღიზიანება.

პროდუქტის კომპონენტებისთვის ხელმისაწვდომი ტოქსიკოლოგიური მონაცემები:

პოლიალკილენ ოქსიდით მოდიფიცირებული ჰეპტამეთილტრისილოქსანი:

მწვავე ტოქსიკურობა, პერორალური (ვირთაგვა) LD50: >2000 მგ/კგ

მწვავე ტოქსიკურობა, დერმალური (ვირთაგვა) LD50: >4000 მგ/კგ

მწვავე ტოქსიკურობა, ინჰალაციური (ვირთაგვა) LD50: = 2 მგ/ლ/4სთ (აეროზოლი)

გამაღიზიანებელი მოქმედება კანზე (კურდღელი): არ იწვევს კანის გაღიზიანებას

გამაღიზიანებელი მოქმედება თვალებზე (კურდღელი): ძლიერ აღიზიანებს თვალებს

მასენსიბილიზებელი მოქმედება (ზღვის გოჭი): არ იწვევს მასენსიბილიზებელ მოქმედებას

განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა, პერორალური (ვირთაგვა): NOAEL:150 მგ/კგ (28 დღე)



სასქესო უჯრედების მუტაგენურობა:

- ეიმსის-ტესტი, შედეგი: უარყოფითი (არ არის მუტაგენური)

- ქრომოსომული აბერაცია, შედეგი: უარყოფითი

- ძუძუმწოვრების ციტგენურობის ტესტი, შედეგი: უარყოფითი

- მიკრონუკლეუსის ტესტი (OECD 474), შედეგი: უარყოფითი

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 9 / 13	

პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

12.1. ტოქსიკურობა

საშიში ინგრედიენტების შემცველობის მიხედვით, პროდუქტის კლასიფიკაცია მიღებულია გაანგარიშების მეთოდით 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად.

კლასიფიცირდება, როგორც წყლის ორგანიზმების მიმართ ტოქსიკური გრძელვადიანი შედეგებით. კატეგორია 2.

12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

პროდუქტი არ შემოწმებულა ბიოდეგრადაციის უნარზე, მაგრამ სავარაუდოდ მას არ ექნება სწრაფი ბიოდეგრადაციის უნარი, ქიმიურად მსგავსი პროდუქტის ტესტის შედეგებზე დაყრდნობით. ამასთან, აღნიშნული პროდუქტი განიცდის სწრაფ ჰიდროლიზს მყავე ან ტუტე გარემოში.

12.3 ბიოაკუმულაციის პოტენციალი

ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.4. მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

პროდუქტი არ აკმაყოფილებს PBT ან vPvB კრიტერიუმებს REACH რეგულაციის მე-XIII დანართის შესაბამისად.

12.6. სხვა არახელსაყრელი ეფექტები

ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

პროდუქტის კომპონენტებისთვის ხელმისაწვდომი ეკოტოქსიკოლოგიური მონაცემები:

თევზების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა (*Danio rerio*): LC50 (96 სთ): 6,8 მგ/ლ
 მტკნარი წყლის უხერხემლო ცხოველების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა (*Daphnia magna*): EC50 (48 სთ): 25 მგ/ლ
 წყალმცენარეების მიმართ მწვავე ტოქსიკურობა (*Pseudokirchneriella subcapitata*): EC50 (96სთ): 32 მგ/ლ

პარაგრაფი 13. განკარგვა/უტილიზაცია

13.1. გამოუსადეგარი ნარჩენები/გამოუყენებელი პროდუქტი

გამოუყენებელი ნარჩენი შეინახეთ ქარხნულ ტარაში. ტრანსპორტირების, აღდგენისა და უტილიზაციისათვის, ნარჩენები მიაწოდეთ უფლებამოსილ სამსახურებს. პროდუქტის ნარჩენები უნდა დამუშავდეს.



უტილიზაცია უნდა განხორციელდეს საშიში ნარჩენების განკარგვის უფლებამოსილი კომპანიის მიერ, ეროვნული და ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.



პროდუქტის ტარის განკარგვა



ცარიელი ტარის გადამუშავება ან უტილიზაცია უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არ შეუიროთ სხვა ნარჩენებს.

პარაგრაფი 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი:	3082
14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი	ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება, თხევადი, n.o.s. (პოლიალკილენ ოქსიდით მოდიფიცირებული ჰეპტამეთილტრისილოქსანი)

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 10 / 13	

14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას	9  
14.4. შეფუთვის ჯგუფი	III
14.5. ეკოლოგიური საფრთხეები	არის
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მომხმარებლისთვის საზღვაო ტრანსპორტი (ADR):	<p>კლასიფიკაციის კოდი: M6 ეტიკეტები: 9 საფრთხის საიდენტიფიკაციო ნომერი: 90 შეფუთვის ინსტრუქციები: P001, IBC03, LP01, R001 ტრანსპორტის კატეგორია: (გვირაბში შეზღუდვის კოდი): 3 (E)</p> <p>სპეციალური დებულება 375: გადაზიდვისას ერთ ან კომბინირებულ ტარაში შეფუთული ეს ნივთიერებები რომელიც ყოველ ცალკეულ, ან შიდა შეფუთვაში შეიცავს სითხის სუფთა (ნეტო) რაოდენობას 5ლ-ს ან ნაკლებს, ან ცალკეულ, ან შიდა შეფუთვაში მყარი მასის სუფთა წონას 5 კგ-ს ან ნაკლებს, არ ექვემდებარება ADR-ის სხვა დებულებებს, იმ პირობით, რომ შესაფუთი ტარა შეესაბამება 4.1.1.1, 4.1.1.2 და 4.1.1.4-დან 4.1.1.8-მდე პუნქტით გათვალისწინებულ ზოგად დებულებებს.</p>
საჰაერო ტრანსპორტი (IATA DGR):	<p>კლასი ან განყოფილება: 9 საფრთხის ეტიკეტი: სხვადასხვა სამგზავრო და სატვირთო თვითმფრინავები PI: 964 მხოლოდ სატვირთო თვითმფრინავები PI: 964</p>
საზღვაო ტრანსპორტი (IMDG):	<p>სპეციალური დებულება 197: გადაზიდვისას ერთ ან კომბინირებულ ტარაში შეფუთული ეს ნივთიერებები რომელიც ყოველ ცალკეულ, ან შიდა შეფუთვაში შეიცავს სითხის სუფთა (ნეტო) რაოდენობას 5ლ-ს ან ნაკლებს, ან ცალკეულ, ან შიდა შეფუთვაში მყარი მასის სუფთა წონას 5კგ-ს ან ნაკლებს, არ ექვემდებარება რეგულაციის სხვა დებულებებს, იმ პირობით, რომ შესაფუთი ტარა შეესაბამება 5.0.2.4.1, 5.0.2.6.1 და 5.0.2.8 პუნქტით გათვალისწინებულ ზოგად დებულებებს.</p> <p>EmS კოდები: F-A, S-F საზღვაო დამაბინძურებელი: არის</p> <p>IMDG კოდექსის დებულება 2.10.2.7: ერთ ან კომბინირებულ ტარაში შეფუთული ზღვის დამაბინძურებლები, რომელიც ყოველ ცალკეულ, ან შიდა შეფუთვაში შეიცავს სითხის სუფთა (ნეტო) რაოდენობას 5ლ ან ნაკლებს, ან ცალკეულ, ან შიდა შეფუთვაში მყარი მასის სუფთა წონას 5კგ ან ნაკლებს არ ექვემდებარება ამ კოდექსით საზღვაო დამაბინძურებლებზე გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, იმ შემთხვევაში, თუ შესაფუთი ტარა აკმაყოფილებს 4.1.1.1, 4.1.1.2 და 4.1.1.4-დან 4.1.1.8-მდე პუნქტით გათვალისწინებულ ზოგად დებულებებს.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა ზღვის დამაბინძურებლები შეესაბამება სხვა სახის საფრთხეთა კლასში ჩართვის მოთხოვნას, ამ კოდექსის ყველა დებულება, რომელიც ეხება ნებისმიერ დამატებით პირობას, კვლავ რჩება ძალაში.</p>
14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად	არ გამოიყენება.

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 11 / 13	

პარაგრაფი 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისათვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები/ კანონმდებლობა

- 2006 წლის 18 დეკემბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია No 1907/2006 ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH)
- 2008 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) № 1272/2008 ნივთიერებების და შენარეგების კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის შესახებ, რომელმაც გააუქმა და ცვლილებები შეიტანა შემდეგ დირექტივებში: 67/548 / EEC და 1999/45 / EC, და ცვლილებები შეიტანა (EC) No 1907/2006 რეგულაციაში.
- 2015 წლის 28 მაისის კომისიის (EU) 2015/830 რეგულაცია, რომელსაც ცვლილებები შეიტანა ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH) ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1907/2006 რეგულაციაში.
- ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ (ADR)
- ფედერალური, სახელმწიფო და ადგილობრივი რეგულაციები.

15.2 ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ამ პროდუქტისათვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ ჩატარებულა.

პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

უსაფრთხოების მონაცემების ფურცელში გამოყენებული აბრევიატურების და აკრონიმების განმარტება

H ფრაზების სრული ტექსტი:

H319 – იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.

H332 – მავნეა ჩასუნთქვისას.

H411 – ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.

მწვავე ტოქ. 4 (ინჰალაცია) – მწვავე ტოქსიკურობა, კატეგორია 4 (ინჰალაცია)

წყლისათვის ქრონიკული 2 – მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით, კატეგორია 2

თვალის გაღ. 2 – თვალის სერიოზული გაღიზიანება, კატეგორია 2

ADR ევროპული შეთანხმება სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ, 94/55 / EC ჩარჩო დირექტივის შესაბამისად, შესწორებებით.

ATE მწვავე ტოქსიკურობის შეფასება: მწვავე ტოქსიკურობის მნიშვნელობები გამოხატულია როგორც (სავარაუდო) LD50 (პერორალური, დერმალური) ან LC50 (ინჰალაციური) მნიშვნელობებით ან როგორც ATEs

CAS ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სამსახური

CPR გულ-ფილტვის რეანიმაცია

DNEL ნივთიერებიდან წარმოქმნილი ზემოქმედების უსაფრთხოების მაჩვენებელი

EC50 საშუალო ეფექტური კონცენტრაცია

EINECS არსებული კომერციული ქიმიური ნივთიერებების ევროპული რეესტრი



GHS (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) ქიმიურ ნივთიერებათა კლასიფიკაციისა და ეტიკეტირების გლობალური ჰარმონიზებული სისტემა: იგი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებიც შეთანხმებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭოს მიერ (UN ECOSOC) საშიში ნივთიერებებისა და ნარეგების კლასიფიკაციისა და ეტიკეტირებისთვის.

ICAO სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია მიმართავს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის საშიში ტვირთების უსაფრთხო ტრანსპორტირების შესახებ კონვენციის მე -18 დანართს

IMDG საერთაშორისო საზღვაო საშიში საქონლის კოდექსი, საშიში ტვირთების საზღვაო გზით ტრანსპორტირებისთვის

IUPAC თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირი.

LOEC დაფიქსირებული ეფექტის უმცირესი კონცენტრაცია

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 12 / 13	

LD50 – საშუალო სასიკვდილო დოზა, ნივთიერების დოზა, რომელიც ერთჯერადი ზემოქმედებისას იწვევს 50% საცდელი ცხოველების სიკვდილს.

LC50 სასიკვდილო კონცენტრაცია; მიმდებარე გარემოს ტოქსიკურობის სტანდარტული საზომი, რომელიც განსაზღვრულ პერიოდში ინჰალაციის საშუალებით გამოიწვევს საცდელი ცხოველების 50%-ის სიკვდილს.

NOEC დაუფიქსირებელი ზემოქმედების კოეფიციენტი

M factor გამრავლების კოეფიციენტი

NICNAS (ავსტრალია) ეროვნული სამრეწველო ქიმიკატების შესახებ შეტყობინებისა და შეფასების სქემა

NIOSH (აშშ) შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი

OECD ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

OSHA აშშ-ის შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების ადმინისტრაცია

PBT მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური

PNEC პროგნოზირებული უსაფრთხო კონცენტრაცია

(Q)SAR (რადონობრივი) სტრუქტურა-აქტივობის ურთიერთკავშირი

RTGD (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) რეკომენდაციები საშიში ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ

RTECS ქიმიური ნივთიერებების ტოქსიკური მოქმედების რეესტრი

SVHC ძალიან მაღალი საფრთხის შემცველი ნივთიერებები

Toxline ტოქსიკოლოგიური ლიტერატურის ონლაინ ბაზა

TOXNET ტოქსიკოლოგიური მონაცემების ქსელი

UFI ფორმულის უნიკალური იდენტიფიკატორი

US EPA შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტო

vPvB ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი

პროდუქტი წარმოადგენს კოპოლიმერის შემცველ ნარევეს, რომელიც არ საჭიროებს რეგისტრაციას REACH-ის რეგულაციათა თანახმად ((EC) No 1907/2006). ყველა კომპონენტი, კოპოლიმერების (მონომერების) ჩათვლით აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს.

მოცემული SDS (უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი) მომზადდა 2015 წლის 28 მაისის ევროკომისიის (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად, რომელსაც ცვლილებები შეიტანა ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH) ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N 1907/2006 რეგულაციაში.

პროდუქტი კლასიფიცირებულია ინგრედიენტების შემცველობის საფუძველზე 2008 წლის 16 დეკემბრის ნივთიერებათა და ნარევეების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს (EC) No 1272/2008 რეგულაციის შესაბამისად, რომელმაც შეცვალა და გააუქმა 67/548/EEC და 1999/45/EC დირექტივები და ცვლილებები შეიტანა (EC) No 1907/2006 რეგულაციაში.

შეფუთვის ეტიკეტირება < 125 მლ

პიქტოგრამები:



სასიგნალო სიტყვა: გაფრთხილება



საფრთხის აღმნიშვნელი განცხადებები

მწვავე ტოქსიკურობა 4, H332 მავნეა ჩასუნთქვისას.

გამაფრთხილებელი განცხადებები

P261 არ ჩაისუნთქოთ მტვრი/კვამლი/აირი/ორთქლი/შხეფები.

P304 + P340 *ჩასუნთქვისას:* დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე და ამყოფეთ სუნთქვისთვის კომფორტულ პოზიციაში.

	უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი			
	შედგენილია (EC) 1907/2006 რეგულაციის (REACH) 31-ე მუხლისა და (EU) 2015/830 რეგულაციის შესაბამისად			
ვერსია 4.4	გამოცემის თარიღი 05.12.2014	განახლების თარიღი 02.09.2019	გვერდი 13 / 13	

დამატებითი ინფორმაცია:

პოლიალკილენოქსიდის მოდიფიცირებული ჰეპტამეთილტრიზილოქსანი.

ტრენინგი

პროდუქტთან მუშაობის დაწყებამდე მომხმარებელი უნდა გაეცნოს ქიმიკატების გამოყენებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის უსაფრთხოების წესებს, კერძოდ გაიაროს კვალიფიკაციის ასამაღლებელი პრაქტიკული კურსები.

საკვანძო ლიტერატურისა და მონაცემთა წყაროების მითითებები

ამ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მოზადდა ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, მწარმოებლის მიერ მოწოდებული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის, ლიტერატურაში მოძიებული მასალის, ონლაინ მონაცემთა ბაზებისა და არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.

უსაფრთხოების მონაცემების ფურცლის წინა ვერსიაში შეტანილი ცვლილებები:

ვერსია 4.4 - სარედაქციო ცვლილებები და ინფორმაციის განახლება - პარაგრაფები 1-16

წინამდებარე ინფორმაცია ეყრდნობა ამჟამად არსებულ მონაცემებს, რომლებიც ახასიათებს პროდუქტს მისი მწარმოებლის მიერ ამ დარგში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში. ეს არ ნიშნავს პროდუქტის სრულყოფილ აღწერას ან მისი განსაკუთრებული თვისებების დაპირებას. იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამხმარე საშუალება პროდუქტის ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების დროს. ეს არ ათავისუფლებს მომხმარებელს ამ სფეროში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების დაცვის, ან ზემოხსენებული ინფორმაციის არასწორი გამოყენების პასუხისმგებლობისგან.

დოკუმენტის დასასრული